

დანართი III

საქართველოს ოფიციალური
სტატისტიკის ეროვნული სისტემის
2024-2027 წლების განვითარების
სტრატეგია

ინდიკატორების პასპორტი

შინაარსი

შესავალი	3
გავლენის ინდიკატორები.....	3
სტრატეგიული მიზანი 1.....	3
სტრატეგიული მიზანი 2.....	6
სტრატეგიული მიზანი 3.....	7
ამოცანის შედეგის ინდიკატორები	8
ამოცანა 1.1	8
ამოცანა 1.2	9
ამოცანა 1.3	10
ამოცანა 1.4	12
ამოცანა 1.5	13
ამოცანა 2.1	14
ამოცანა 2.2	16
ამოცანა 3.1	17
ამოცანა 3.2	19

შესავალი

ინდიკატორების პასპორტი შედგენილია პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს მე-3 დანართის მიხედვით.

ინდიკატორების პასპორტი მოიცავს დეტალურ ინფორმაციას **გავლენის** და **ამოცანის შედეგის** თითოეული ინდიკატორის შესახებ, მათი დათვლის/შეფასების მეთოდოლოგიის ჩათვლით.

გავლენის და ამოცანის შედეგის ყველა ინდიკატორის შეფასებაზე პასუხისმგებელია 2024-2027 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნო, საქსტატის სტრატეგიული დაგეგმვის და კოორდინაციის დეპარტამენტი. ამოცანის შედეგის ინდიკატორები, პასპორტში აღწერილი მეთოდოლოგიის მიხედვით, შეფასდება ყოველწლიურად, ხოლო გავლენის ინდიკატორი – სტრატეგიული პერიოდის ბოლოს, სტრატეგიის შეფასების დროს.

გავლენის ინდიკატორები

სტრატეგიული მიზანი 1

ინდიკატორის დასახელება	მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) საქსტატის მიერ გაანგარიშებული ინდიკატორების წილი	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
	დიახ	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	მომხმარებელზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად	
ინდიკატორის აღწერა	ნაციონალიზირებული 101 ინდიკატორებისგან 60 ინდიკატორის გაანგარიშებაზე პასუხისმგებელია საქსტატი. რადგან მდგრადი განვითარების მიზნები უკავშირდება როგორც დარგობრივ, ისე ურთიერთგადამკვეთ სტატისტიკას, რომელიც გამოიყენება პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მიზანი 1 “მომხმარებელზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად” მიღწევის ხარისხის შესაფასებლად შეირჩა ეს ინდიკატორი.	
დადასტურების წყარო	მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი	

მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქსტატი		
მონაცემების შეგროვების სიხშირე	სტრატეგიული პერიოდის ბოლოს, სტრატეგიის შეფასების დროს		
მეთოდოლოგია	<p>ინდიკატორი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:</p> $\frac{\text{მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების რაოდენობა, რომლებიც გაანგარიშებულია საქსტატის მიერ}}{\text{საქსტატის მიერ გასანგარიშებული მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების რაოდენობა}} \times 100$		
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე
	წელი	2023	2027
	მაჩვენებელი	95%	100%

ინდიკატორის დასახელება	მომხმარებელთა კმაყოფილების დონე	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
	დიახ	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	მომხმარებელზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად	
ინდიკატორის აღწერა	<p>აღნიშნული ინდიკატორი აფასებს მომხმარებელთა კმაყოფილების საშუალო დონეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დამოუკიდებლობის ხარისხი, 2. ინფორმაციის ხარისხი, 3. ინფორმაციის სანდოობა, 4. ინფორმაციის სარგებლიანობა, 5. ინფორმაციის ვიზუალიზაცია, 6. ინფორმაციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხი, 7. მეთოდოლოგიის ხელმისაწვდომობა, 	

	8. ინფორმაციის დროულად მიღება, 9. კადრების კომპეტენტურობა, 10. სიახლეებზე ორიენტირება, 11. კომუნიკაციის ხარისხი, 12. კონფიდენციალურობის დაცვა.		
დადასტურების წყარო	მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევის ანგარიში		
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქსტატი		
მონაცემების შეგროვების სიხშირე	სტრატეგიული პერიოდის ბოლოს, სტრატეგიის შეფასების დროს		
მეთოდოლოგია	<p>თითოეული კრიტერიუმისთვის გამოითვლება საშუალო შეწონილი ქულა შემდეგი ფორმულის გამოყენებით:</p> $S_i = \frac{\sum_{j=1}^5 (f_{ij} \times j)}{N_i}$ <p>სადაც, $i = \overline{1,12}$ და $j = \overline{1,5}$, f_{ij} - წარმოადგენს სიხშირეს, თუ რამდენჯერ იყო j ქულა მინიჭებული i კრიტერიუმისთვის. j - წარმოადგენს შესაძლო ქულებს (სადაც, ქულა 5 არის ძალიან მაღალი, 4 - მაღალი, 3 - საშუალო, 2 - დაბალი, 1 - ძალიან დაბალი), ხოლო, N_i - არის i კრიტერიუმის შესაბამისი პასუხების ჯამური რაოდენობა.</p> <p>საშუალო შეწონილი ქულის გაანგარიშების შემდეგ, გამოითვლება საშუალო ქულა მოცემული 12 კრიტერიუმისთვის შემდეგი ფორმულის გამოყენებით:</p> $S = \frac{\sum_{i=1}^{12} S_i}{12}$ <p>ვინაიდან მაქსიმალური ქულა (5 ქულა) შეესაბამება 100%-ს, მომხმარებელთა კმაყოფილების დონის ფორმულა შეგვიძლია ჩავწეროთ როგორც:</p> $\text{მომხმარებელთა კმაყოფილების დონე} = \frac{S \times 100}{5}$		
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე
	წელი	2023	2027
	მაჩვენებელი	85.4%	სულ მცირე 85%

სტრატეგიული მიზანი 2

ინდიკატორის დასახელება	მონაცემთა მართვის სისტემის განვითარების დონე	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
	დიახ	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ნდობისა და თანამშრომლობის გაძლიერება მონაცემთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და მონაცემთა მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ზომავს მონაცემთა მართვის სისტემის განვითარების დონეს საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიხედვით. შეფასებისთვის აღებულია მონაცემების მართვის სისტემის განვითარების მოდელი, რომელიც შემუშავდა მონაცემების მართვის საერთაშორისო ასოციაციის მიხედვით (DAMA).	
დადასტურების წყარო	მართვის სისტემის განვითარების შეფასების მოდელის მიხედვით თვითშეფასების ანგარიში	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქსტატი	
მონაცემების შეგროვების სიხშირე	სტრატეგიული პერიოდის ბოლოს, სტრატეგიის შეფასების დროს	
მეთოდოლოგია	<p>ინდიკატორის შეფასებისთვის გამოიყენება თვითშეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მონაცემების მართვის სისტემის განვითარების მოდელის საფეხურების მიხედვით საქსტატის მონაცემთა მართვის სისტემის განვითარების დონის შეფასებას.</p> <p>მოდელი შედგება შემდეგი საფეხურებისგან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საწყისი: ამ ეტაპზე მონაცემების მართვის პროცესები არის არათავსებადი და ხშირად დაუგეგმავი. 2. განმეორებადი: მონაცემების მართვის ძირითადი, საბაზო პროცესები დანერგილია, მაგრამ მათ აკლია თავსებადობა და სრული ინტეგრირება ორგანიზაციულ მართვის სტრატეგიაში. 3. განსაზღვრული: მონაცემების მართვის პროცესები არის კარგად დოკუმენტირებული, გამოყენებადი და ინტეგრირებული ორგანიზაციულ მართვის სისტემაში. როლები და პასუხისმგებლობები კარგად არის 	

	<p>განაწილებული და არსებობს მონაცემების ფორმალური მართვის სტრუქტურა.</p> <p>4. მართვადი: ორგანიზაცია აქტიურად ზომავს და უწევს მონიტორინგს მონაცემების მართვის სისტემის პროცესების ეფექტურობას.</p> <p>5. ოპტიმიზებული: მონაცემების მართვის პროცესები სრულად ოპტიმიზებულია და ორგანიზაციას აქვს მიღწეული მონაცემების მართვის მოდელის განვითარების უმაღლესი დონე.</p>		
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე
	წელი	2023	2027
	მაჩვენებელი	განმეორებადი	განსაზღვრული

სტრატეგიული მიზანი 3

ინდიკატორის დასახელება	საქსტატის ოფიციალური ვებსაიტის ვიზიტორთა რაოდენობა	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
	დიახ	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	მომხმარებლების მიერ არსებულ მონაცემთა გამოყენების ხელშეწყობა	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ზომავს საქსტატის ოფიციალურ ვებსაიტზე სესიების ჯამურ წლიურ რაოდენობას. ინდიკატორი გვეხმარება, შევაფასოთ ინტერესი ოფიციალური სტატისტიკის მიმართ და მომხმარებლების მიერ არსებულ მონაცემთა გამოყენების დინამიკა.	
დადასტურების წყარო	საქსტატის ვებსაიტის ანალიტიკა	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქსტატი	

მონაცემების შეგროვების სიხშირე	სტრატეგიული პერიოდის ბოლოს, სტრატეგიის შეფასების დროს		
მეთოდოლოგია	საქსტატის ოფიციალურ ვებსაიტზე ჩაშენებულია „Google Analytics“ ინსტრუმენტი, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ითვლის ვიზიტორთა და სესიების რაოდენობას. ვებსაიტის ადმინის კაბინეტიდან, ამ ინსტრუმენტის მეშვეობით, შესაძლებელია დროის ნებისმიერ მონაკვეთში აღნიშნული მონაცემის ამოღება ნებისმიერ პერიოდზე. ამ შეთხვევაში მონაცემის ამოღება მოხდება სტრატეგიული პერიოდის ბოლოს და დაითვლება წლიური საშუალო მაჩვენებელი.		
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე
	წელი	2023	2027
	მაჩვენებელი	775 607	1 100 000

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

ამოცანა 1.1

ინდიკატორის დასახელება	EU NUTS კლასიფიკაციის მიხედვით გაანგარიშებული ინდიკატორების რაოდენობა		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის	
		დიახ	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ოფიციალური სტატისტიკის წარმოება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისა და ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის		
ინდიკატორის აღწერა	სტრატეგიულ პერიოდში დაგეგმილია EU NUTS კლასიფიკაციის დანერგვა, რაც განპირობებულია საერთაშორისო (ევროინტეგრაციის პროცესის ფარგლებში) ვალდებულებების და გლობალური შეფასების რეკომენდაციების შესრულებით. აღნიშნული ინდიკატორი ზომავს კლასიფიკაციის დანერგვის ხარისხს და, შესაბამისად, ინდიკატორების გაანგარიშებას ამ ახალი კლასიფიკაციის მიხედვით.		

დადასტურების წყარო	საქსტატის ვებსაიტი			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქსტატი			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად			
მეთოდოლოგია	საქსტატის სტრატეგიული დაგეგმვის და კოორდინაციის დეპარტამენტი ყოველწლიურად დაითვლის იმ გამოქვეყნებული ინდიკატორების რაოდენობას, რომლებიც გაანგარიშდა EU NUTS კლასიფიკაციის მიხედვით.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	სამიზნე
	წელი	2023	2025	2027
	მაჩვენებელი	0	10	30

ამოცანა 1.2

ინდიკატორის დასახელება	ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში გამოყენებული ადმინისტრაციული წყაროების წილი		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის	
		დიახ	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ადმინისტრაციული და მონაცემთა ალტერნატიული წყაროების დივერსიფიკაცია და გაფართოება		
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ზომავს ადმინისტრაციული წყაროების წილს ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში. აღნიშნული ინდიკატორი გვებმარება შევაფასოთ ამოცანის “ადმინისტრაციული და მონაცემთა ალტერნატიული წყაროების დივერსიფიკაცია და გაფართოება” მიღწევის ხარისხი.		
დადასტურების წყარო	სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამა		

მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქსტატი			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად			
მეთოდოლოგია	<p>ინდიკატორი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:</p> $\frac{\text{სტატისტიკის რაოდენობა, რომლებიც სრულად ეფუძნება ადმინისტრაციულ მონაცემებს}}{\text{სტატისტიკის ჯამური რაოდენობა}} \times 100$ <p>სტატისტიკის რაოდენობაში გათვალისწინებულია სტატისტიკური მაჩვენებლების გამოქვეყნების სიხშირე წელიწადში. მაგალითად, კვარტალური მაჩვენებელი ჩათვლილია როგორც 4 მაჩვენებელი, თვიური სტატისტიკა – როგორც 12 მაჩვენებელი და ა.შ.</p>			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	სამიზნე
	წელი	2023	2025	2027
	მაჩვენებელი	36%	38%	40%

ამოცანა 1.3

ინდიკატორის დასახელება	წლიური სტატისტიკის გავრცელების საშუალო დრო		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის	
		დიახ	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	მონაცემთა წარმოების პროცესების მოდერნიზაცია და ავტომატიზაცია მონაცემთა დროული, ზუსტი და ეფექტური დამუშავების უზრუნველსაყოფად		
ინდიკატორის აღწერა	<p>აღნიშნული ინდიკატორი ზომავს ძირითადი წლიური სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების (გავრცელების) საშუალო დროს. მონაცემთა წარმოების პროცესების მოდერნიზაცია ხელს უწყობს დამუშავების პროცესის ეფექტურობის გაუმჯობესებას, რაც აისახება მათ შორის დამუშავებისთვის საჭირო დროის შემცირებაზე. დამუშავების დრო – საანგარიშო პერიოდის მერამდენე დღეს ხდება მონაცემების გამოქვეყნება.</p>		

დადასტურების წყარო	სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამა			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქსტატი			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშებისთვის დარგობრივი სტატისტიკური მიმართულებების წლიური სამუშაოებიდან შეირჩა 19 ძირითადი და გაანგარიშდა მათი გავრცელების ვადების საშუალო მაჩვენებელი. შექმნილია სამუშაო დოკუმენტი ექსელის ფორმატში, სადაც მოცემულია თითოეულის გავრცელების ვადები საბაზო წლისთვის. ამ ფაილის გამოყენებით ყოველწლიურად დაითვლება მათი გავრცელების საშუალო დრო.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	სამიზნე
	წელი	2023	2025	2027
	მაჩვენებელი	294 დღე	289 დღე	284 დღე

ინდიკატორის დასახელება	კვარტალური სტატისტიკის გავრცელების საშუალო დრო		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის	
		დიახ	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	მონაცემთა წარმოების პროცესების მოდერნიზაცია და ავტომატიზაცია მონაცემთა დროული, ზუსტი და ეფექტური დამუშავების უზრუნველსაყოფად		
ინდიკატორის აღწერა	აღნიშნული ინდიკატორი ზომავს ძირითადი კვარტალური სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების (გავრცელების) საშუალო დროს. მონაცემთა წარმოების პროცესების მოდერნიზაცია ხელს უწყობს დამუშავების პროცესის ეფექტურობის გაუმჯობესებას, რაც აისახება მათ შორის დამუშავებისთვის საჭირო დროის შემცირებაზე. დამუშავების დრო – საანგარიშო პერიოდის მერამდენე დღეს ხდება მონაცემების გამოქვეყნება.		

დადასტურების წყარო	სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამა			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქსტატი			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშებისთვის დარგობრივი სტატისტიკური მიმართულებების კვარტალური სამუშაოებიდან შეირჩა 4 ძირითადი და გაანგარიშდა მათი გავრცელების ვადების საშუალო მაჩვენებელი. შექმნილია სამუშაო დოკუმენტი ექსელის ფორმატში, სადაც მოცემულია თითოეულის გავრცელების ვადები საბაზო წლისთვის. ამ ფაილის გამოყენებით ყოველწლიურად დაითვლება მათი გავრცელების საშუალო დრო.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	სამიზნე
	წელი	2023	2025	2027
	მაჩვენებელი	52 დღე	47 დღე	42 დღე

ამოცანა 1.4

ინდიკატორის დასახელება	საქსტატის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (ISMS) ISO/IEC 27001 სტანდარტთან შესაბამისობა		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის	
		დიახ	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და მონაცემთა საიმედო დაცვის უზრუნველყოფა		
ინდიკატორის აღწერა	აღნიშნული ინდიკატორი ზომავს საქსტატის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შესაბამისობას ISO/IEC 27001 სტანდარტთან. ISO/IEC 27001 არის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნებს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის მიმართ. სტანდარტთან შესაბამისობა გულისხმობს მონაცემების უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის და საიმედო დაცვის უზრუნველყოფას.		

დადასტურების წყარო	საინფორმაციო სისტემის (IT) აუდიტის დასკვნა ISO/IEC 27001 სტანდარტთან შესაბამისობის შესახებ			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	ჩატარდება საქსტატის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტი, რომელიც შეაფასებს ISO/IEC 27001 სტანდარტთან შესაბამისობას. აუდიტის კომპანია იქნება დაქირავებული და ჩაატარებს დამოუკიდებელ (გარე) აუდიტს ISO/IEC 27001 სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით.			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად			
მეთოდოლოგია	საინფორმაციო სისტემის (IT) აუდიტი ჩატარდება დამოუკიდებელი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კომპანიის მიერ. აუდიტის პროცესში კომპანია შეაფასებს საქსტატის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შესაბამისობას ISO/IEC 27001 სტანდარტთან.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	სამიზნე
	წელი	2023	2025	2027
	მაჩვენებელი	არ შეესაბამება სტანდარტს ISO/IEC 27001	არ შეესაბამება სტანდარტს ISO/IEC 27001	შეესაბამება ISO/IEC 27001 სტანდარტს

ამოცანა 1.5

ინდიკატორის დასახელება	თანამშრომლების დენადობის დონე		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის	
		დიახ	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	მოქნილი და თანამედროვე სამუშაო გარემოს შექმნა		

ინდიკატორის აღწერა	აღნიშნული ინდიკატორი ფართოდ გამოიყენება როგორც ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ერთ-ერთი შესრულების ძირითადი ინდიკატორი. ინდიკატორი ზომავს თანამშრომლების დენადობას და დაგვეხმარება შევავსოთ ამოცანის 1.5 “მოქნილი და თანამედროვე სამუშაო გარემოს შექმნა” მიღწევის ხარისხი.			
დადასტურების წყარო	ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა (eHRMS)			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქსტატი			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად			
მეთოდოლოგია	<p>მონაცემების წყარო: საქსტატის ადამიანური მართვის სისტემა. ინდიკატორი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:</p> $\text{თანამშრომლების დენადობის დონე} = \frac{\text{წლის განმავლობაში წასული თანამშრომლების რაოდენობა}}{\text{წლის დასაწყისში (1 იანვრის მდგომარეობით) თანამშრომლების რაოდენობა}} \times 100$			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	სამიზნე
	წელი	2023	2025	2027
	მაჩვენებელი	7%	6%	5%

ამოცანა 2.1

ინდიკატორის დასახელება	ოფიციალური სტატისტიკის წარმოების კოორდინაციის გაძლიერების მიზნით საქსტატის მიერ შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების რაოდენობა		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის	
		დიახ	

ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში საქსტატის როლის გაძლიერება კოორდინაციისა და მონაცემთა მართვის მიმართულებით			
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ზომავს ოფიციალური სტატისტიკის წარმოების საკითხებზე შექმნილი უწყებათაშორისი თემატური სამუშაო ჯგუფების რაოდენობას, რაც ასევე გვეხმარება ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში საქსტატის კოორდინაციის როლის გაძლიერების შეფასებაში.			
დადასტურების წყარო	მთავრობის დადგენილებები უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქსტატი			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად			
მეთოდოლოგია	საქსტატის მიერ შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების რაოდენობა დაითვლება უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ მთავრობის დადგენილებების საფუძველზე.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	სამიზნე
	წელი	2023	2025	2027
	მაჩვენებელი	1	2	3

ინდიკატორის დასახელება	ოფიციალური სტატისტიკის წარმოების კოორდინაციისა და მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე ყოველწლიური უწყებათაშორისი შეხვედრების რაოდენობა		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის	
		დიახ	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში საქსტატის როლის გაძლიერება კოორდინაციისა და მონაცემთა მართვის მიმართულებით		
ინდიკატორის აღწერა	აღნიშნული ინდიკატორი ზომავს უწყებათაშორისი ყოველწლიური ოფიციალური სტატისტიკის წარმოების		

	კოორდინაციისა და მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე ჩატარებული შეხვედრების რაოდენობას. ინდიკატორი დაგვეხმარება, შევაფასოთ საქსტატის კოორდინაციისა და მონაცემთა მართვის მიმართულებით როლის გაძლიერება.			
დადასტურების წყარო	ჩატარებული შეხვედრების ანგარიშები			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქსტატი			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად			
მეთოდოლოგია	შეხვედრების ანგარიშების, ოქმების და სხვა დამადასტურებელი მასალის საფუძველზე დაითვლება უწყებათაშორისი შეხვედრების რაოდენობა. გათვალისწინებული იქნება ინდიკატორში 2.1.1 ნახსენები უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, რომლებიც შეეხება ოფიციალური სტატისტიკის წარმოების კოორდინაციისა და მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	სამიზნე
	წელი	2023	2025	2027
	მაჩვენებელი	0	1	2

ამოცანა 2.2

ინდიკატორის დასახელება	ევროკავშირის თემატური სამუშაო ჯგუფების და კომიტეტების რაოდენობა, რომლებშიც საქსტატის წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის	
		დიახ	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, საქსტატის, როგორც სანდო პარტნიორის პოზიციონირება ევროკავშირის სტატისტიკურ საზოგადოებაში და აქტიური ჩართულობა გლობალური სტატისტიკის განვითარებაში		

ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ზომავს საქსტატის ჩართულობას ევროკავშირის თემატურ სამუშაო ჯგუფებში და კომიტეტებში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას და საქსტატის, როგორც სანდო საერთაშორისო პარტნიორის პოზიციონირებას. აღნიშნულ თემატურ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობით საქსტატი ერთვება ოფიციალური სტატისტიკის საერთაშორისო გავითარების ინიციატივებში.			
დადასტურების წყარო	შეხვედრების ანგარიშები			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქსტატი			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად			
მეთოდოლოგია	ევროკავშირის თემატურ სამუშაო ჯგუფებში და კომიტეტებში საქსტატის წარმომადგენლების (მენეჯმენტის და სპეციალისტების) მონაწილეობის მონიტორინგს განახორციელებს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტი. მაჩვენებელში გათვალისწინებული იქნება მხოლოდ სრულფასოვანი წევრობა ან სამუშაო ჯგუფების/კომიტეტების თავჯდომარეობა.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	სამიზნე
	წელი	2023	2025	2027
	მაჩვენებელი	3	4	6

ამოცანა 3.1

ინდიკატორის დასახელება	სტატისტიკის შესახებ ცნობიერების დონე		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის	
		დიახ	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	სტატისტიკის შესახებ ცნობიერების და ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის ამაღლება და მომხმარებლების მიერ არსებული მონაცემების უფრო აქტიური გამოყენება		

ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ზომავს სტატისტიკის შესახებ ცნობიერების დონეს სტატისტიკის მომხმარებლებში. ცნობიერების დონის დასადგენად ჩატარდება გამოკვლევა.			
დადასტურების წყარო	გამოკვლევის შედეგები და ანგარიში			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქსტატი			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ორ წელიწადში ერთხელ			
მეთოდოლოგია	ინდიკატორი გაიზომება ორ წელიწადში ერთხელ. გამოკვლევა მოიცავს სტატისტიკის მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფებს.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	სამიზნე
	წელი	2023	2025	2027
	მაჩვენებელი	არ არის ხელმისაწვდომი	54%	60%
ინდიკატორის დასახელება	ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის დონე			
ინდიკატორის ტიპი	გავლენის		ამოცანის შედეგის	
			დიახ	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	სტატისტიკის შესახებ ცნობიერების და ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის ამაღლება და მომხმარებლების მიერ არსებული მონაცემების უფრო აქტიური გამოყენება			
ინდიკატორის აღწერა	საერთაშორისო ექსპერტის და გლობალური შეფასების რეკომენდაციის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის გამოკითხვა უნდა ჩატარდეს დამოუკიდებელი კონსულტანტის ან კომპანიის მიერ, რათა მისი შედეგები იყოს მიუკერძოებელი და სანდო. ინდიკატორი ზომავს ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობას.			
დადასტურების წყარო	გამოკვლევის შედეგები და ანგარიში			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქსტატი			

მონაცემების შეგროვების სიხშირე	ორ წელიწადში ერთხელ			
მეთოდოლოგია	გამოკითხვა ჩატარდება ორ წელიწადში ერთხელ. გამოკითხვის ჩასატარებლად დაქირავებული იქნება დამოუკიდებელი კონსულტანტი ან კომპანია საქსტატში არსებული შესყიდვის წესის მიხედვით.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	სამიზნე
	წელი	2023	2025	2027
	მაჩვენებელი	არ არის ხელმისაწვდომი	54%	60%

ამოცანა 3.2

ინდიკატორის დასახელება	საქსტატის ოფიციალური ვებსაიტიდან ოფიციალური სტატისტიკის ჩამოტვირთების რაოდენობა		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის	
		დიახ	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ოფიციალური სტატისტიკის ხელმისაწვდომობის გაზრდა მონაცემების გავრცელების ახალი და გაუმჯობესებული ინსტრუმენტების მეშვეობით		
ინდიკატორის აღწერა	აღნიშნული ინდიკატორი ზომავს ოფიციალური სტატისტიკის სხვადასხვა ფორმატში (ექსელის ცხრილები, PDF-დოკუმენტები, მონაცემთა ბაზები და ა.შ.) მონაცემების გადმოწერების ჯამურ რაოდენობას. იგი ზომავს ოფიციალური სტატისტიკის გამოყენებას.		
დადასტურების წყარო	საქსტატის ვებსაიტის ანალიტიკა		
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქსტატი		
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად		

მეთოდოლოგია	ინდიკატორი გაიზომება ყოველი წლის ბოლო სამუშაო დღის მდგომარეობით ვებსაიტზე ჩაშენებული „Google Analytics“ ინსტრუმენტის გამოყენებით. საანგარიშო პერიოდი 1 იანვარი-31 დეკემბერი. იგი ზომავს საქსტატის ვებსაიტიდან ყველა ხელმისაწვდომ ფორმატში არსებული ინფორმაციის გადმოწერების ჯამურ რაოდენობას.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	სამიზნე
	წელი	2023	2025	2027
	მაჩვენებელი	200 000	300 000	400 000